ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედერო აღრიცხვისა

და გაწვევის სამსახურის მიერ 2022-2023 წლების ჩატარებული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს კანონის ,, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ ’’ და აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,, სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების ’’ შესაბამისად.

2022 წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან, სასწავლო დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და წარმოებებიდან, სამხედრო სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი სიების მიხედვით მოხდა 17 წელს მიღწეული ჭაბუკების (2005 წელს დაბადებულები) აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე, საერთო ჯამით 104 ჭაბუკის. შეიქმნა თითოეულ მათგანზე პირადი საქმეები, მოხდა მათი აღრიცხვა ანბანურ წიგნში და განთავსდა სააღრიცხვო ბარათები საჭირო კართოტეკაში.

2022 წლის მაისის თვეში გაიგზავნა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ანგარიში საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 01 თებერვლის N 51 დადგენილების საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლის 01 თებერვლიდან 30 ივნისამდე მიმდინარეობდა საგაზაფხულო გაწვევა.

გაწვევის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგად მოხდა სამხედრო სამსახურის მიერ გამწვევ კომისიაზე 125 წვევამდელის გამოცხადება. აქედან კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა 9 წვევამდელი 30-ე მუხლის საფუძველზე მიიღო გადავადება 106 წვევამდელმა, 5 წვევამდელი ჩაირიცხა თავდაცვის ჯარში, სად-ში ჩაირიცხა 1 წვევამდელი, შსს -(გდდ-1, ოდდ-2, დპდ - 8) წვევამდელი.

2022 წლის საგაზაფხულო გაწვევისა და გამწვევი კომისიის ოქმების ანგარიშები განკუთვნილ ვადებში გადაგზავნილია საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აგვისტოს #405 დადგენილების საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლის 1 აგვისტოდან 2022 წლის 30 დეკემბრამდე მიმდინარეობდა საშემოდგომო გაწვევა გეგმით გათვალისწინებული იყო 16 წვევამდელი.

გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 101 წვევამდელი. აქედან სავალდებულო სამსახურში ჩაირიცხა 13 წვევამდელი, სამედიცინო კომისიის გავლის შემდეგ გადავადება მიიღო 14 წვევამდელმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სულ სხვადასხვა სტატუსით გადავადება მიიღო 74 წვევამდელმა. პოლიციას გადაეცა 23 წვევამდელის სახელობითი სია ვინც არ ცხადდება გამწვევ კომისიაზე ან ვერ ხერხდება მათი მოძიება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამხედრო სამსახურის მიერ აყვანილია სამხედრო აღრიცხვაზე სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული 33 რეზერვისტი. შედგენილია მათზე სააღრიცხვო და ანბანური ბარათები, განთავსებულია მოქმედ კართოტეკაში დადგენილი წესის მიხედვით. აყვანილია სამხედრო აღრიცხვაზე 40 რეზერვისტი, რომლებიც ზღვრული ასაკის გამო ჩარიცხულია თადარიგის რეზერვში. შედგენია მათზე სააღრიცხვო და ანბანური ბარათები.

სამხედრო სამსახურის მიერ გაწვეულია საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში 9 მოქალაქე, შექმნილია მათზე პირადი საქმეები 2-2 ეგზემპლარად და გადაგზავნილია თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიაში.

აყვანილია სამხედრო აღრიცხვაზე 12 რეზერვისტი, რომლებიც დათხოვნილია შსს სამსახურებიდან. მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან და აყვანილია შსს სპეც აღრიცხვაზე 5 რეზერვისტი.

ზღვრული ასაკის გამო მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან 54 რეზერვისტი, 4 ოფიცერი და შესაბამისი ჩანაწერის მიხედვით გადაგზავნილია არქივში.

საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან და გადაგზავნილია სხვადასხვა სამხედრო სამსახურში 5 რეზერვისტის სამხედრო ბარათები.

2023 წლის საგაზაფხულო პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი სიების მიხედვით მოხდა 17 წელს მიღწეული ჭაბუკების (2006 წელს დაბადებულები)აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე, საერთო ჯამით 85 ჭაბუკი. შეიქმნა თითოეულ მათგანზე პირადი საქმეები, მოხდა მათი აღრიცხვა ანბანურ წიგნში და განთავსდა სააღრიცხვო ბარათები საჭირო კართოტეკაში.

2023 წლის24 აპრილს გაიგზავნა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ანგარიში.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 07 თებერვლის N 56 დადგენილების საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წლის 01 თებერვლიდან 30 ივნისამდე მიმდინარეობდა საგაზაფხულო გაწვევა.

გაწვევის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგად მოხდა სამხედრო სამსახურის მიერ გამწვევ კომისიაზე 124 წვევამდელის გამოცხადება. აქედან კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე

სამხედრო სამსახურის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა 4 წვევამდელი. 30-ე მუხლის საფუძველზე მიიღო გადავადება 102 წვევამდელმა, 7 წვევამდელი ჩაირიცხა თავდაცვის ჯარში, 1 წვევამდელი ჩარიცხულია ალტერნატიულ სამსახურში, პოლიციას გადაეცა 38 ურჩი წვევამდელის სახელობითი სია, ხოლო თადარიგის რეზერვში ზღვრული ასაკის გამო გადაირიცხა35 წვევამდელი.

სამხედრო სამსახურის მიერ აყვანილია სამხედრო აღრიცხვაზე სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული 27 რეზერვისტი. შედგენილია მათზე სააღრიცხვო და ანბანური ბარათები, განთავსებულია მოქმედ კართოტეკაში დადგენილი წესის მიხედვით. აყვანილია სამხედრო აღრიცხვაზე 35 რეზერვისტი, რომლებიც ზღვრული ასაკის გამო ჩარიცხულია თადარიგის რეზერვში. შედგენია მათზე სააღრიცხვო და ანბანური ბარათები.

სამხედრო სამსახურის მიერ გაწვეულია საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში 7 მოქალაქე, შექმნილია მათზე პირადი საქმეები 2-2 ეგზემპლარად და გადაგზავნილია თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიაში.

აყვანილია სამხედრო აღრიცხვაზე 16 რეზერვისტი, რომლებიც დათხოვნილია შსს სამსახურებიდან. მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან და აყვანილია შსს სპეც აღრიცხვაზე 9 რეზერვისტი.

ზღვრული ასაკის გამო მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან 61 რეზერვისტი, 2 ოფიცერი და შესაბამისი ჩანაწერის მიხედვით გადაგზავნილია არქივში.

საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან და გადაგზავნილია სხვადასხვა სამხედრო სამსახურში 7 რეზერვისტის სამხედრო ბარათები.

ამ ეტაპისთვის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა.